

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანის თბილწყაროს დასახლების წყლის გამწმენდი კოლექტორის გაწმენდითი სამუშაოების საჭირო საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის №427

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. გარდაბანი

23 აპრილი, 2012 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ზვიად ეპიტაშვილი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;
- მანუჩარ ჯოხაძე – კომისიის წევრი;
- ზვიად თაბუაშვილი – კომისიის წევრი;
- ნოდარ ბერუაშვილი – კომისიის წევრი;
- რამაზ ბუდალაშვილი – კომისიის წევრი;
- ოთარ გავაშელიშვილი – კომისიის წევრი;
- აზა ონიანი – კომისიის წევრი;

**დღის წესრიგი:**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანის თბილწყაროს დასახლების წყლის გამწმენდი კოლექტორის გაწმენდითი სამუშაოების საჭირო საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის კონკურსის №427 საკონკურსო წინადადებების მიღების შესახებ.

**განხილვა:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ეპიტაშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად წინადადების მიღება მთავრდებოდა 2012 წლის 20 აპრილს 14:00 საათზე. ამ დროისათვის საკონკურსო წინადადება არ წარმოადგინა არცერთმა კონკურსანტმა.

**კომისიამ დაადგინა:**

1. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3-ის საფუძველზე

გამოცხადებული, ქ. გარდაბანის თბილწყაროს დასახლების წყლის გამწმენდი კოლექტორის გაწმენდითი სამუშაოების საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის №427 კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.

2. აღნიშნული საკონკურსო კომისიის ოქმი გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის [contest@procurement.gov.ge](mailto:contest@procurement.gov.ge) -ის მეშვეობით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი კონკურსი „არ შედგა“

კომისიის თავმჯდომარე:

ზვიად ეპიტაშვილი

კომისიის წევრები:

მანუჩარ ჯოჯაძე

ზვიად თაბუაშვილი

ზაზა ონიანი

ნოდარ ბერუაშვილი

რამაზ ბუდალაშვილი

ოთარ გავაშვილი